

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთას ტერიტორიაზე შპს „ტრანს სერვისი“-ს ე.წ. <კონტეინერის ტიპის> დიზელის საწვავის სარეალიზაციო სადგურის მოწყობისა და ექსპლოატაციის სკრინინგის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში, შპს „პროგრესი“-ს კუთვნილ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე, (საკადასტრო კოდი 26.13.23.006), არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, შპს „ტრანს სერვისი“-მა განათავსა და გეგმავს ექსპლოატაციაში გაუშვას კონტეინერის ტიპის დიზელის საწვავის სარეალიზაციო სადგური. (ნახ. 1-კონტეინერი, თანდართულია)

კომპანიის მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის აღნიშნულ მისამართზე (GPS კოორდინატები: X-252568,99; Y-4647658,54) შპს „პროგრესი“-ს მიერ საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, (ხელშეკრულება თანდართულია), გამოიყო 30 მ<sup>2</sup> თავისუფალი ტერიტორია, რომელზედაც შპს „ტრანს სერვისმა“ განათავსა კონტეინერის ტიპის დიზელის საწვავის სარეალიზაციო სადგური, რომლის დანიშნულება იქნება დიზელის საწვავის მიღება, შენახვა და რეალიზაცია მხოლოდ კომპანიის კუთვნილ ავტოტრანსპორტზე.

საწარმოს ტერიტორიაზე, განთავსებული კონტეინერი შემდეგი ზომებისაა: სიგრძე 8 მეტრი, სიგანე 3 მეტრი და სიმაღლე 2,2 მეტრი. კონტეინერში დამონტაჟებულია ერთი ცალი, 25000 ლიტრის ტევადობის ავტოსაცავი და ერთი ჩამოსასხმელი დგარი, აღჭურვილ ერთი ჩასასხმელი ხორთუმით. (ნახ. 2-საცავი; ნახ.3-დგარი, თანდართულია).

საცავი დაფარულია ანტიკოროზიული საღებავით და აღჭურვილია ლითონის, 3 მეტრი სიმაღლისა და 0,04 მეტრი დიამეტრის სასუნთქი მილით.

საწვავის საწარმოში შემოტანა მოხდება სპეციალური საწვამზიდის (ავტოცისტერნა) მეშვეობით და ტუმბოს ჩაისხმება საცავში. საცავიდან საწვავი ლითონის მილით (დიამეტრი 0,04 მ), ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება ჩამოსასხმელ დგარს, აღჭურვილს 1 ჩასასხმელი ხორთუმით (პისტოლეტი), რომლის მეშვეობით მოხდება საწვავის ჩასხმა ავტოტრანსპორტის საწვავის ავზში (ბაკში).

არსებული წარმადობიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგური, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში საშუალოდ წელიწადში რეალიზაციას გაუკეთებს 0,1 მილიონ ლიტრ დიზელის საწვავს.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციისაას, ამ საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობის იქნება. ამასთან დიზელის შესანახი რეზერვუარი განთავსებულია დახურულ კონტეინერში, რაც გარკვეულწილად შეამცირებს მასზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება,

ტემპერატურა, და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ძირითადად ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნება ლოკალიზებული და იშვიათად, ან/და საერთოდ არ მოხდება მათი ობიექტის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გაფრქველების ფაქტები. რაც შეეხება ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობას, მათი გაანგარიშება მოხდება ავტოგასამართი სადგურის მიერ რეალიზებული საწვავების შესაბამისად.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია ასევე მოეწყოს მარტივი ტიპის საოპერატორო და მოსასვენებელი მომსახურე პერსონალისთვის, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძი და საყარაულო. დაგეგმილია ობიექტის ტერიტორიის მოასფალტება და კეთილმოწყობა. ტერიტორიაზე მოეწყობა 1 სალექარი.

ობიექტის სასმელ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყლით მომარაგება მოხდება შპს „პროგრესი“-ს კუთვნილი საწყლოსნო ობიექტიდან. საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჩაშვება მოხდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ შამბოში, საიდანაც დაგროვილი მასა რეგულარულად გაიტანება სპეციალური სამსახურის მიერ არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.

რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიის მონარეცხ წყლებს, რომლებიც პირობითად დაბინძურებული იქნება ნავთობპროდუქტებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნების შესრულებისა და ჩაშვებული წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია შემკრებ-სალექარის მოწყობა, (ეფექტურობა 80-85%) რომლის ზედაპირის ფართობი 1 კვადრატული მეტრი, ხოლო სიღრმე 0,85 მეტრი იქნება.

ტერიტორიის მონარეცხი წყალი, ტერიტორიაზე არსებული სპეციალური ღია არხების მეშვეობით ჩაიშვება სალექარში, საიდანაც გაწმენდილი ჩაიშვება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ ბუნებრივ სადრენაჟო არხში, შემდგომ მდინარე ნატანებში, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 140 მეტრის დაშორებით გაედინება. რაც შეეხება სალექარში დაგროვილ ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ მასას, მისი შენახვა მოხდება სპეციალურ კასრებში და გადაეცემა სათანადო უფლებამოსილ საწარმოს, როგორც სახიფათო ნარჩენი, თანახმად საქართველოს კანონისა „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს შესახებ. ამასთან, ერთად საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ, დახურულ კონტეინერში, რომლის დაცლას და გატანას უზრუნველყოფს ქალაქის სანდასუფთავების სამსახური შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ობიექტის განთავსება დაგეგმილია ქალაქ ოზურგეთის ერთ-ერთ გარეუბანში, სოფელ გურიანთას ტერიტორიაზე, ურეკი-ოზურგეთის ავტომაგისტრალის მე-20 კოლომეტრზე, ავტომაგისტრალიდან 860 მეტრის დაშორებით, შპს „პროგრესი“-ს კუთვნილ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე, უახლოესი საცხოვრებელი სახლი 740 მეტრითაა დაშორებული.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ავტოგასამართი სადგური მდებარეობს 2900 მეტრის დაშორებით. შესაბამისად ამისა საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართი სადგურის პროექტირების პროცესში, მიწის სამუშაოების წარმოებისას, ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ მოხდება, იმდენად, რამდენადაც კონტინერი განთავსებულია მოშანდაგებულ ტერიტორიაზე, ხოლო რაც შეეხება მიმდებარე ტერიტორიას, მოხდება მისი ასფალტირება.

მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი იღებს ვალდებულებას „კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

ობიექტის განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ცხოველთა სახეობები არ ფიქსირდება.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიაზე ასევე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება და გამოყენება. შესაბამისად, ამისა ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი. ამასთან, ერთად ობიექტის სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ობიექტი აღიჭურვება სახანძრო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო დაფით, თანახმად „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“, ტექნიკური რეგლამენტისა, რაც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

ტერიტორიაზე ასევე დამონტაჟდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და საწვავის გასაცემ სვეტს, ხოლო საწვავის მიღებისას ავტოცისტერნა

დაერთდება დამიწების ტანჯიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება საწვავის მიღების პროცესი. დამიწებული იქნება ასევე საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა და საწვავის რეზერვუარი.

ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ადგილი ექნება გარკვეული რაოდენობის როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სახიფათო ნარჩენების სახეობები იქნება: ნავთობდამჭერის ნალექი (კოდი-130503\*), რომლის წლიური რაოდენობა სავარაუდოდ 30-40 კილოგრამი იქნება, დაღვრილი ნავთობი (კოდი-050105\*), წლიური რაოდენობა 15-20 კილოგრამი იქნება.


სახიფათო ნარჩენების მაქსიმალურად უსაფრთხო მართვისათვის საწარმო უზრუნველყოფს მათი შეგროვებას და საწარმოს ტერიტორიაზე დროებით შენახვას, შემდგომ მათი ტერიტორიიდან გატანას და შესაბამის ლიცენზირებულ სამსახურზე გადაცემას არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ნავთობდამჭერში დაგროვილი ნალექი და ობიექტის ტერიტორიაზე დაღვრილი და შეგროვებული ნავთობი დაგროვდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ კასრებში და შეინახება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სათავსოში. ხსენებულ ნარჩენებს კომპანია გადასცემს ისეთ საწარმოსა და ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია და გააჩნია სათანადო ნებართვა ხსენებული ნარჩენების ტერიტორიებიდან გატანის შესახებ. ამ საქმიანობის განხორციელება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება არსებული ნორმების შესაბამისად.

ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე ობიექტი იმუშავებს 10 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 310 სამუშაო დღით წელიწადში. საწარმოში დასაქმდება 3 ადგილობრივი.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

შპს „ტრანს სერვისი“-ს დირექტორი

 /სიმონ ქარჩილაძე/

ტელ. 577252919

უმრავი ქონების იჯარის  
ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი

24 მაისი 2021 წ.

ერთი მხრივ, შპს „პროგრესი“ (ს.კ.:437072463) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა ქარჩილაძის სახით რომლის უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის N: B21039675, მომზადების თარიღი: 30/07/2018 (შემდგომში „მეიჯარე“) და მეორე მხრივ, შპს „ტრანს სერვისი“ (ს.კ.437074185) წარმოდგენილი მისი დირექტორის სიმონ ქარჩილაძის სახით, რომლის უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის N: B21046290, მომზადების თარიღი: 11/05/2021 (შემდგომში „მოიჯარე“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად „მეიჯარე“ გადასცემს, ხოლო „მოიჯარე“ დროებით სარგებლობაში იღებს „მეიჯარის“ საკუთრებაში არსებულ- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე დამაგრებულ სტაციონალური ობიექტს-საბოლოო მომხმარებლის საცავი, რომლის სარეგისტრაციო ნომერია: 1540318, ფართი: 11999 კვმ, მდებარე ოზურგეთი სოფ. გურიანთა (შემდგომში „იჯარის ობიექტი“), ხოლო „მოიჯარე“ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საფასური.
- 1.2. „იჯარის ობიექტის“ მახასიათებლებია: მისამართი: რაიონი ოზურგეთი, სოფელი გურიანთა, დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო. საკადასტრო კოდი: 26.06.14.667, ფართობი: 30 კვმ. (შემდგომში „იჯარის ობიექტი“).
- 1.3. იჯარის ობიექტი მოიჯარეს გადაეცემა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.
- 1.4. იჯარის ობიექტი გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად მათ შორის საწვავის მოძრავი ავზის/ების განსათავსებლად.

2. იჯარის ფასი და გადახდის პირობები

- 2.1. „იჯარის ობიექტით“ სარგებლობის საფასური (შემდგომში „საიჯარო ქირა“) შეადგენს თვეში 500 (ხუთასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, რომელიც გადაიხდება ყოველთვიურად (დასაშვებია აგრეთვე წინასწარ გადახდაც) როგორც ნაღდზე ასევე მეიჯარის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

3. მხარეთა ვალდებულებები

- 3.1. „მოიჯარე“ ვალდებულია:
  - 3.1.1. გამოიყენოს „იჯარის ობიექტი“ მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად;
  - 3.1.2. გადაიხადოს საიჯარო ქირა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით;
  - 3.1.3. მოუაროს „იჯარის ობიექტს“.
  - 3.1.4. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „იჯარის ობიექტის“ დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „მეიჯარეს“ და მისი მითითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;
  - 3.1.5. ითმინოს ყველა სახის ზემოქმედება, რომელიც ნებადართულია „მეიჯარის“ მიერ და აუცილებელია „იჯარის ობიექტის“ შესანახად ან/და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხორციელდება „მოიჯარის“ ინტერესების გათვალისწინებითაც და არსებითად არ აფერხებს მის მიერ „იჯარის ობიექტით“ სარგებლობას;
  - 3.1.6. დაუბრკოლებლად შეუშვას „მეიჯარე“ ან მისი წარმომადგენელი საიჯარო ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების კონტროლის და შემოწმების მიზნით;
  - 3.1.7. „მეიჯარესთან“ შეთანხმების გარეშე არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც გამოიწვევს საიჯარო ობიექტის მნიშვნელოვან ცვლილებას, მათ შორის კაპიტალური რემონტი, მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ფასადის იერსახის შეცვლა და სხვა.



„მოიჯარე“

*ს. ქარჩილაძე*

- 3.1.8. აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ ყოველგვარი ზიანი, რომელიც მიადგება საიჯარო ქონებას „მოიჯარის“ არამართლზომიერი ქმედების შედეგად.
- 3.1.9. ხელშეკრულების მოშლის ან შეწყვეტისას უკან დააბრუნოს იჯარის ობიექტი იმ მდგომარეობაში, რაც მას გადაცემის მომენტში ჰქონდა, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;
- 3.1.10. „მეიჯარის“ თანხმობის გარეშე არ გასცეს „იჯარის ობიექტი“ მესამე პირებზე ქვეიჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით.
- 3.1.11. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.
- 3.1.12. გაუფრთხილდეს მეიჯარის სახელსა და რეპუტაციას საქმიანობის დროს.

3.2. „მეიჯარე“ ვალდებულია:


- 3.2.1. ხელი შეუწყოს „მოიჯარეს“ ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა, იჯარის საგნით სარგებლობის პროცესში.
- 3.2.2. უზრუნველყოს „მოიჯარის“ მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;
- 3.2.3. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

4. პასუხისმგებლობა

- 4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვემა მხარემ უნდა აუზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.
- 4.2. მოიჯარე პასუხს აგებს საიჯარო ქირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადახდაზე.
- 4.3. მხარეები ვალდებულია იღებენ დაუყონებლივ მიაწოდონ ერთმანეთს ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნიშნულ საიჯარო ურთიერთობებზე, კერძოდ აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი უფლებრივი თუ სხვა სახის რისკების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქონების განადგურება, დაზიანება, სანივთო ან/და სხვა უფლებებით დატვირთვა, გასხვისება ან/და სხვაგვარი შედეგი რაც შეუძლებელს გახდის ან/და გაართულებს იჯარის ობიექტით სარგებლობას.
- 4.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში „მეიჯარე“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „მოიჯარეს“ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, ვადამოსული დავალიანების 0.5%-ის ოდენობით.
- 4.5. იმ შემთხვევაში, თუ „მოიჯარეს“ შეზღუდება „იჯარის ობიექტით“ სარგებლობის უფლება „მეიჯარის“ ბრალით, იგი უფლებამოსილია შეზღუდვის მთელ პერიოდზე არ გადაიხადოს შესაბამისი პერიოდის საიჯარო ქირა და ამასთანავე დააკისროს „მეიჯარეს“ პირგასამტეხლო, ერთი თვის საიჯარო ქირის 0.5% ოდენობით შეზღუდვის ყოველი დღისათვის, რაც არ ართმევს „მოიჯარეს“ უფლებას ამავე დროს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- 4.6. ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ აღნიშნული ხდება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის გამო, ბრალეულ მხარეს მეორე მხარის მოთხოვნით დაეკისრება პირგასამტეხლო საიჯარო ქირის ერთმაგი ოდენობით, ამასთან ჯარიმა არ ათავისუფლებს მხარეებს სხვა არსებული ვალდებულებებისაგან.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულება იჯარის ვადის ნაწილში მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მხარეთა სხვა ვალდებულებების შესრულების ნაწილში, ამ ვალდებულებების შესრულებამდე.
- 5.2. „მეიჯარეს“ შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
  - 5.2.1. თუ „მოიჯარე“ უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
  - 5.2.2. თუ „მოიჯარე“ არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც მხარეებს უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;



„მოიჯარე“  
 ს. კახიჯაძე

5.2.3. თუ "მოიჯარე" განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს „იჯარის ობიექტის“ მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგება „მეიჯარეს“

5.2.4. შეატყობინებს რა ხელშეკრულების მოშლის შესახებ „მოიჯარეს“ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.

5.3. „მოიჯარეს“ შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

5.3.1. თუ „მეიჯარე“ უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.3.2. თუ „მეიჯარე“ არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;

5.3.3. თუ „მეიჯარის“ ბრალეული ქმედებით ეზღუდება „მოიჯარეს“ „იჯარის ობიექტით“ სარგებლობის უფლება.

5.3.4. შეატყობინებს რა ხელშეკრულების მოშლის შესახებ „მეიჯარეს“ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.

4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების შედეგად.

5. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, „მოიჯარე“ ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და საიჯარო ქირა, იგი ასევე ვალდებულია დაცლოს-გაათავისუფლოს საიჯარო ობიექტი, რის შემდეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს „იჯარის ობიექტის“ მიღება-ჩაბარების აქტი.

6. იმ შემთხვევაში, თუ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ „მოიჯარე“ 5 კალენდარული დღის ვადაში არ დაცლის „იჯარის ობიექტს“ და არ ჩააბარებს მას „მეიჯარეს“, „მოიჯარეს დაეკისრება“ ვალდებულება გადაიხადოს გაორმაგებული საიჯარო ქირა იჯარის ობიექტის ფაქტობრივად ფლობის მთელ პერიოდზე, ამასთან, „მეიჯარე“ უფლებამოსილია აღიდგინოს მფლობელობა „იჯარის ობიექტზე“ ხოლო „მოიჯარის“ გაფრთხილებიდან 10 (ათი) დღის ვადაში დაცალოს ობიექტი „მოიჯარის“ კუთვნილი ნივთებისაგან.

7. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ „მოიჯარის“ მიერ იჯარის ობიექტით სარგებლობა ფაქტობრივად გაგრძელდა, რისი წინააღმდეგაც არ არის „მეიჯარე“, ხელშეკრულება ყოველ ასეთ ჯერზე გაგრძელებულად ჩაითვლება ერთი თვის ვადით, იმავე პირობებით.

### 6. ფორს მაჟორი.

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა) ზეგავლენით, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთას გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს. დაუძლეველ ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება ისეთ მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (ფორს-მაჟორი)

მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული არ არის. თუ ასეთი მოვლენები გაგრძელდა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ხელშეკრულება.

### 7. სხვა პირობები

მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მოშლის შემთხვევაში, ყველა სახის გაუმჯობესება და რემონტი ობიექტზე, რომლის მოცილება შეუძლებელია დაზიანების გარეშე და წინასწარ იყო შეთანხმებული „მეიჯარესთან“ რჩება „მეიჯარეს“, რისთვისაც იგი ვალდებულია გადაუხადოს „მოიჯარეს“ ამ გაუმჯობესებების მართლიანი ღირებულება ცვეთის გათვალისწინებით.


„მოიჯარე“

ს. ქახლაძე



- 7.3. იმ გაუმჯობესებების დემონტაჟი, რომლებიც საჭირო იყო მხოლოდ „მოიჯარისათვის“ მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს „მოიჯარის“ ხარჯით.
- 7.4. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.
- 7.5. ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამოსილებებზე.
- 7.6. მხარეები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონიერული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება.
- 7.7. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის დავაზე პირველი ინსტანციით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს იჯარის ობიექტის მდებარეობის მიხედვით არებულ სასამართლო.
- 7.8. წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.
- 7.9. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცა თითო ეგზემპლარი.

8. მხარეთა რეკვიზიტები:

„მეიჯარე“	„მოიჯარე“
<p>შპს „ტრანს სერვისი“            ს.ნ.437074185            იურ. მის.: საქართველო, ოზურგეთის რაიონი, ს. ოზურგეთი, 1-ლი ქ., N 80            სს „თიბისი ბანკი“            ა/ა GE40TB7419836087100010</p> <p>დირექტორი:  სიმონ ქარჩილაძე</p>	<p>შპს „პროგრესი“            ს.ნ. 437072463            იურ. მის.: საქართველო, ოზურგეთის რაიონი, ს. ოზურგეთი, 1-ლი ქ., N80            სს „თიბისი ბანკი“            ა/ა GE22TB7716736060100002</p> <p>დირექტორი: <u>ბ. ქახილაძე</u>, კახა ქარჩილაძე</p>



„მოიჯარე“  
ბ. ქახილაძე



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21046290, 11/05/2021 02:45:22

**სუბიექტი**

საფირმო სახელწოდება: შპს ტრანს სერვისი  
 სამართლებრივი ფორმა: შემღვდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
 საიდენტიფიკაციო ნომერი: 437074185  
 რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 11/05/2021  
 მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
 იურიდიული მისამართი: საქართველო, ოზურგეთის რაიონი, ს. ოზურგეთი, 1-ლი ქ., N 80

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: qarchiladzesimon@gmail.com  
 ტელეფონი: 599774517

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა**

• დირექტორი - სიმონ ქარჩილაძე, 33001005009

**პარტნიორები**

შესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
სიმონ ქარჩილაძე, 33001005009		100%

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

---

**ყაღაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

- მოვალე: **DE16182177 23/12/2016 15:05:12**  
სიმონ ქარჩილაძე 33001005009  
საფუძველი: აღმასრულებელი: მუხრან გოგატიშვილი სუბიექტის დამატება  
მოვალეთა რეესტრში 23.12.2016 # A16132540-004
- მოვალე: **DE19100191 07/05/2019 14:58:20**  
სიმონ ქარჩილაძე 33001005009  
საფუძველი: აღმასრულებელი: მაია გურგენიძე სუბიექტის დამატება მოვალეთა რეესტრში 07.05.2019 # A19070706-004

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საქარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



მისი (უბრალო ტიპის) საკლასიკო კოდი N 26.06.14.667

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882021142062 - 26/02/2021 14:27:25

მომზადების თარიღი  
26/02/2021 15:40:52

### საკუთრების განყოფილება

ზონა ომურგეთი	სექტორი გურიანთა	კვარტალი	ნაკვეთი 14 667	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუშავებელი ფართობი: 11999.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 26.06.14.036;
------------------	---------------------	----------	-------------------	--

მისამართი: მუნიციპალიტეტი ომურგეთი, სოფელი გურიანთა

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021115367 , თარიღი 18/02/2021 12:23:22  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/02/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

\* უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 18/02/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "პროგრესი", ID ნომერი: 437072463

მესაკუთრე:

შპს "პროგრესი"

აღწერა:

### იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021142062

იპოთეკარო სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი" 204854595; საგანი: დამუშავებული ფართობი: 11999.00 კვ.მ.;

თარიღი 26/02/2021 14:27:25

იპოთეკის ხელშეკრულება N 1231232856265, დამოწმების თარიღი 26/02/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/02/2021

საგადასახადო ვიზუალიზაცია:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება